<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 14.12.2018, სარეგისტრაციო (კოდი:010190030.06.001.016054) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს გენერალური პროკურორი, ვალდებულია კომიტეტის სხდომას დაესწრონ კომიტეტის წევრების სიითი შემადგენლობის უმრავლესობის წერილობითი მოთხოვნით, რომელიც უნდა შეიცავდეს კომიტეტის სხდომაზე მოსაწვევ პირთან ერთად განსახილველი საკითხის/საკითხების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას.“

2. 157-ე მუხლის

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ნდობის ჯგუფი შედგება 6 წევრისაგან, რომელთაგან ერთი არის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ორი – საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციის/ფრაქციების წევრი, ხოლო სამი – საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი ფრაქციის/ფრაქციების წევრი.“

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ფრაქცია/ფრაქციები ნდობის ჯგუფის წევრებად დასახელებულ პირებს წარუდგენენ პარლამენტს. საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი ფრაქციები პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარადგენენ ნდობის ჯგუფის წევრებს. იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო ოპოზიცია წარმოდგენილია 1 ფრაქციით, ფრაქცია ასახელებს ნდობის ჯგუფის 3 წევრს. თუ საპარლამენტო ოპოზიცია წარმოდგენილია 2 ფრაქციით, ფრაქციები ნდობის ჯგუფის წევრებს ასახელებენ ფრაქციაში შემავალ წევრთა რაოდენობის პროპორციულად. ფრაქციების წევრთა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, პარლამენტის პლენარულ სხდომას წარედგინება იმ ფრაქციის ორი წევრი, რომლის პარტიამაც პარლამენტის არჩევნებში მეტი ხმა მიიღო. თუ საპარლამენტო ოპოზიცია წარმოდგენილია 3 ფრაქციით, თითოეული ფრაქცია ასახელებს თითო წევრს, ფრაქციის წევრთა და არჩევნებში მიღებულ ხმათა რაოდენობის მიუხედავად. თუ საპარლამენტო ოპოზიცია წარმოდგენილია 3-ზე მეტი ფრაქციით, პარლამენტის პლენარულ სხდომას წარედგინება იმ 3 ფრაქციის მიერ დასახელებული თითო წევრი,

რომლებშიც საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალ სხვა ფრაქციებზე მეტი პარლამენტის წევრია გაერთიანებული. ფრაქციების წევრთა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში პარლამენტის პლენარულ სხდომას წარედგინება იმ ფრაქციის წევრი, რომლის პარტიამაც პარლამენტის არჩევნებში მეტი ხმა მიიღო.

3. 158-ე მუხლის

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნდობის ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ნდობის ჯგუფის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ნდობის ჯგუფის სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ნდობის ჯგუფის სხდომა დახურულია.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ნდობის ჯგუფის სხდომები იმართება სასესიო პერიოდში, სულ მცირე თვეში ერთხელ. ნდობის ჯგუფის სხდომას იწვევს და წარმართავს ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე. ნდობის ჯგუფის სხდომა შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ნდობის ჯგუფის ნებისმიერი წევრის წინადადებით, თუ სხდომის გამართვას მხარს დაუჭერს ნდობის ჯგუფის წევრთა უმრავლესობა.“

4. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 158^1 მუხლი:

„მუხლი 158^1. ნდობის ჯგუფის საქმიანობის ანგარიში“

„ნდობის ჯგუფი ვალდებულია, სულ მცირე წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ნდობის ჯგუფის საქმიანობის წერილობითი ანგარიში. ნდობის ჯგუფის თითოეული წევრი უფლებამოსილია, წარმოადგინოს ალტერნატიული ანგარიში, იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმება ნდობის ჯგუფის საქმიანობის ანგარიშს/ანგარიშის ნაწილს. ანგარიში ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე, გარდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა.“

5. 159-ე მუხლის

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შესაბამისი უწყებები ვალდებული არიან ნდობის ჯგუფის წევრის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინონ მას მისი უფლებამოსილების შეუფერხებელი განხორციელებისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შესაბამისი უწყებები, უფლებამოსილი არიან უარი განაცხადონ ნდობის ჯგუფისთვის მხოლოდ ისეთი ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც შეეხება საქმიანობის ფარულ ფორმებსა და მეთოდებს. საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული თანამშრომლობის ფარგლებში ნდობის ჯგუფს ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

გ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. შესაბამისი უწყებები ნდობის ჯგუფს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 აპრილისა, წარუდგენენ მოხსენებას წინა წელს განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ.“

დ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ნდობის ჯგუფის წევრი/წევრები უფლებამოსილია/უფლებამოსილი არიან, ნდობის ჯგუფის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე განახორციელოს/განახორციელონ ვიზიტები შესაბამის უწყებებში. ვიზიტის ფარგლებში ნდობის ჯგუფის წევრი/წევრები უფლებამოსილია/უფლებამოსილი არიან გაესაუბროს/გაესაუბრონ უწყების თანამშრომლებს და გაეცნოს/გაეცნონ ნდობის ჯგუფის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას. ვიზიტთან დაკავშირებით ნდობის ჯგუფის წევრი წინასწარ ატყობინებს ნდობის ჯგუფის თავმჯდომარეს.“

ე) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ნდობის ჯგუფი სულ მცირე წელიწადში ორჯერ ამოწმებს საჯარო სამართლის იურიდიული პირს – ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს.“

6. 215-ე მუხლის

ა) 1-ელი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული ერთეულების სახით შედიან დეპარტამენტები, მანდატურის სამსახური, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი, პარლამენტის კომიტეტების აპარატები, ნდობის ჯგუფის აპარატი, საპარლამენტო ფრაქციების აპარატები, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების სამდივნოები, საბჭოებისა და სახელმწიფო კომისიების სამდივნოები, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.“

ბ) დაემატოს მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ნდობის ჯგუფის აპარატი არის ნდობის ჯგუფისადმი დაქვემდებარებული პარლამენტის აპარატის მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შექმნილია ნდობის ჯგუფის საქმიანობის უზრუნველსაყოფად.“

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს 2024 წლის არჩევნებში არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი**